

# ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რომან მუმლაძის მიერ განუული მუშაობის ანგარიში

მიმდინარე ანგარიში მოიცავს პერიოდს გასული 2014 წლის 1 აგვისტოდან, ანუ უფლებამოსილების ცნობიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში მოხდა უშუალო შეხვედრები თემის თითქმის ყველა სოფლის მოსახლეობასთან. სოფელ ჯოყოეთის სამ უბანთან, სოფ. სალიეთში ორი უბნის მაცხოვრებლებთან, სოფ. მორძგვეთში სამ უბანთან, კაცხისა და დიდი კაცხის ექვს უბანთან, ნავარძეთში ორ უბანთან. ამ შეხვედრებზე წამოიჭრა მრავალი საკითხი, მათგან იყო მცირე მნიშვნელობის საკითხები, ძირითადად ინდივიდუალურ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტის პროცესში ჩავერთე. უშუალოდ დავეხმარე კონკრეტულ პიროვნებებს დოკუმენტაციის სწორად შედგენასა და აღრესატებამდე კანონიერების სრული დაცვით წარდგენაში (მაგ. მკურნალობა, მედიკამენტები, სოც. სამსახურის მიერ შემონგება და ა.შ.).

## შეხვედრებზე გამოიკვეთა შედარებით სერიოზული საკითხებიც. ასეთები იყო:

1. სოფ. ჯოყოეთში (უკურთხევას უბანი) გზის ნაწილობრივ მობეტონება.
2. სოფ. ჯოყოეთში (ჩაიების უბანი) სასმელი წყლის ბასეინის დახურვა.
3. სოფ. სალიეთში გზის ორი გაუვალი მონაკვეთის მობეტონება.
4. სოფ. მორძგვეთში გზის ერთი, თითქმის გაუვალი, მონაკვეთის რეაბილიტაცია- მობეტონება.
5. სოფ. მორძგვეთისა და სოფ. სალიეთისათვის ტყეკაფის არ არსებობა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში.
6. სოფლებში: ჯოყოეთი, ეწერი, მორძგვეთი, სალიეთი ყველგან დასმული იყო პრობლემა მგლების შემოსევასთან დაკავშირებით.
7. სოფ. დიდი კაცხი და კაცხი (ხვადაბუნის უბანი) გზების მცირე მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა.
8. სოფელ დიდი კაცხის მოსახლეობის წინაშე მწვავედ დადგა საკითხი წყალმომარაგების შესახებ, წყლის დებიტების შემცირების გამო.
9. სოფ. ნავარძეთში აგრეთვე მწვავედ დგას საკითხი წყალმომარაგების შესახებ, ყიფშიძეების უბანში.
10. სოფ. ნავარძეთში (ბაჭიკიშვილების უბანი) მოსახლეობა აყენებდა სკვერის მოწყობის საკითხს.
11. სოფ. კაცხში სპორტული მოედნის რეაბილიტაციის საკითხი.  
ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე უშუალოდ ჩავერთე გამგეობის სამსახურებთან ერთად, მათი მოკლე ვადებში გადაწყვეტის მიზნით.  
ძირითადი დასმული საკითხები მოგვარებულია. მათი ნაწილი: გზების მობეტონება (კაცხი, დიდი კაცხი, სალიეთი, მორძგვეთი, ჯოყოეთი), სპორტული მოედნის რეაბილიტაცია კაცხში, სკვერის კეთილმოწყობა ნავარძეთში, წყლის ბასეინის მოწესრიგება დიდ კაცხში, შესრულდა ან მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თარგვლებში.  
გზების მობეტონება სოფ. სალიეთსა და სოფ. მორძგვეთში, აგრეთვე წყალმომარაგების საკითხი დიდ კაცხში (კერძოდ ელ. მომარაგების ხაზის აღდგენა) მოგვარებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გარეშე.  
ჩემი მოთხოვნის სათუქველზე სოფლებისათვის მორძგვეთი და სალიეთი გამოყოფილი იქნა ტყეკაფი.

მგლების შემოსევასთან დაკავშირებით ეთხოვა გამგეობის შესაბამის სამსახურს და გაკეთდა მიმართვა გარემოს დაცვის სამინისტროსთან მტაცებლების განადგურებაზე ნებართვის გაცემის შესახებ, რაზედაც მივიღეთ დადებითი გადაწყვეტა სამინისტროდან.

ნავარძეთის, ყიფშიძეების უბნის წყალმომარაგების საკითხზე მოვახერხე მიმელნია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის, მომავალში შევძლებთ აღნიშნული პროექტის უზრუნველყოფას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა უშუალოდ ვმონაწილეობდი სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სოფლის კრებებში პრიორიტეტების გამოკვეთაში შეძლებისდაგვარად. სისტემატიურად ვამონაწილე მათ მიმდინარეობას.

პირადი ძალისხმევით შევძელი ააიპ-ის, „მე დავბრუნდები,“ ფარგლებში მცირედი სიხარული საჩუქრების სახით მიმემართა სოფლების, ენერისა და მორძგვეთის მცირე კონტიგენტიანი სკოლების მოსწავლეებზე.

აქტიურად ვარ ჩართული რათა 2016-2017 წლების პრიორიტეტების ჩამონათვალში ჩაისვას სოფლების, სალიეთი, მორძგვეთი, ენერი მისასვლელი გზების პროექტირება- რეაბილიტაცია.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია სოფ.ნავარძეთში (ყიფშიძეების უბანი) და სოფ.დიდი კაცხი.

საუბნო გზების რეაბილიტაცია თითქმის თემის ყველა სოფელში.

დაძრულია საკითხი და გამოცხადებულია ტენდერი სამუშაოს შემსრულებლის გამოსავლენად, მსოფლიო განვითარების ფონდის დაფინანსების ფარგლებში სოფ.კაცხის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

აგრეთვე ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. ჩემს ძირითად ფუნქციებში შედის საფინანსო-საბიუჯეტო კუთხით გეგმიური და მიმდინარე საკითხების განხილვა კომისიური წესით, მათზე შესაბამისი დასკვნების მომზადება და საკრებულოს ბიუროსა და სესიაზე წარდგენა, რასაც ვაკეთებ მაქსიმალური წესის დაცვით.